ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N139

დაბა სტეფანწმინდა 21 ოქტომბერი 2014 წელი

ერთის მხრივ ყაზბეგის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გამგებლის გივი ქირიკაშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს "კავკასენერგო „ მისი ხელმძღვანელის ზურაბ ჯაველიძის სახით (მიმწოდებელი), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 ხელშეკრულება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება,რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია 3(სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი – შემსყიდველს.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3 ,,დღე",,,კვირა" ,,,თვე „ – კალენდარული დღე, კვირა ,თვე.

1.4 „შემსყიდველი"–ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი"–პირი ,რომელიც ასრულებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 ,,სამუშაო" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხებიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ.ხურთისის მისასვლელი გზის სამუშაოები. სამუშაოები.ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 17 ოქტომბრის N45 განკარგულების საფუძველზე.

2.2. CVPკოდი 45200000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 5107 (ხუთი ათასას შვიდი)ლარს დღგ-ის ჩათვლით.

3.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4.2. ანგარისწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

4.4. სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ ყოველ ფორმა №2 -ის წარმოდგენისთანავე დაკავებულ იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის დაბრუნება მოხდება სამუშაოების სრული დასრულებისა და შემსყიდველის მიერ ობიექტის ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.4. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული სამუშაოს აქტის (ფორმა #2) და მაკონტროლებელი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი შუალედური აქტის საფუძველზე 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში;

4.5. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ფორმა N2-ის წარმოდგენის შემდეგ 20(ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში;

4.6. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება

5. მიღება– ჩაბარების წესი

5.1 სამუშაოს მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულების შემდგომ, შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ფორმა №2,

5.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ორივე მხარის უფლებამოსილი პირების დასწრებით, მათ მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება – ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია სამუშაოების მიმღები კომისია.

5.4. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.სამუშაოს შესრულების ვადა

6.1. მიმწოდებელი სამუშაოს შესრულებას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და დაასრულებს 2014 წლის 30 ნოემბრამდე.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ.ტყარშეტი.

7.მხარეთა უფლება – მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია :

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შესრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ)ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

დ) წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

7.3 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

ბ) ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტს;

გ) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია;

7.4 მიმწიდებელი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოების მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება.

გ)სამუშაოების შესრულების პროცესში შემსყიდველის შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები ან/და შეცვალოს უხარისხო მასალა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

დ) მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების პროცესში უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოებს და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;

ე) სამუშაოების დასრულებიდან 2 წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვა ნებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანება, დეფექტი) გამოწვეულია მისი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული ნებისნიერი გამოვლენილი წუნი თუ დეფექტი;

ვ) მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. ამასთანავე, მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველთან მშენებლობის პროცესში გამოსაყენებელი მასალების ხარისხი.

8.2 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტისგამგებლის თავმჯდომარის 2014წლის 16 ივლისს N195 ბრძანების საფუძველზე შექმნილი მაკონტროლებელი ჯგუფი :

ქიტექტურის, სივრცითი მოწყობის და საამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ალემალ სუჯაშვილის, წამყვანი სპეციალისტის შოთა ბურდულისა და ეკონომიკური სამსახურის უფროსის ზურაბ ზილინაშვილის შემადგენლობით.

8.3 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

8.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთანდა ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.5 მიმწოდებელმა სამუშაოების წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი.

8.6 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოების შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოების წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

9.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2% – ის ოდენობით.

9-.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5(ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით 5 სამუშაო დღით ადრე შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. მხრეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

11.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,2%-ს.

11.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 9.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.4. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან/და არაჯეროვან ასრულებს ამ ხელშეკრულებით მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, მათ შორის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში, რაც დადასტურდება შემსყიდველის მიერ შესრულებული სამუშაოების დარღვევად და შესაძლებელია შემსყიდველის მიერ ეს განხილული იქნეს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლად.

11.6. „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მომწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი

ლტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. გამოყენებული სამართალი

13.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. შეტყობინება

14.1. მხარეთა შორის მიმოწერა ხორციელდება ქართულ ენაზე.

14.2. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის, დეპეშის,ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით,ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.3. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. დაუძლეველი ძალა.

15.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

15.2. თუ, ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

15.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე .

15.4. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდესხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

16. სუბკონტრაქტორები

16.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით).

16.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტორ(ებ)ის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

16.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში არც ერთი სუბკონტრაქტორი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

17. დავები და მათი გაწყვეტის წესი

17.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

17.2. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად, 3 (სამი) აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან, ხოლო 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

19.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 1 დეკემბრამდე .

შემსყიდველი	მიმწოდებელი
მისამართი: დ.სტეფანწმინდა	შ.პ.ს კავკასენერგო
ალ.ყაზბეგისN1	მისამართი. ზარათაშვილის ქუჩაN42
ტელეფონი 595 90 25 46	მომსახურე ბანკი:სს პროკრედიტ ბანკი
ს/კ241499473	
მომსახურე ბანკი: ს.სლიბერთი ბანკის	ბანკის კოდი PRSGGE 22
ყაზბეგის ფილიალი	ა/ა GE26PG00000001058478669
ბანკის კოდი: LBRTGE22	ს/კ404922063
ა/ა GE78LB0120181120750000	

ხელმოწერა:

ხელმოწერა:

საქართველო
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №45

17 ოქტომბერი 2014 წელი

დ.სტეფანწმინდა

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ" ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 დეკემბრის N32 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ბ." ქვეპუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ" ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 დეკემბრის N32 განკარგულებაში შეტანილი იქნეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს დანართი N1-ის შესაბამისად:

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, დ.სტეფანწმინდა ალ.ყაზბეგის ქ.N 76, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე შ.ელოშვილი

საქართველო
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
შემოსული კორესპონდენციის და რეგისტრაციის
№1230 20-10-2014